პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

2025 წლის ---- აგვისტო

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე : არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482523442**
თარიღი: **22/08/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობების შესახებ.

დანართი -26- ფურცელი

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

1. შესავალი

შიდა აუდიტის არსია, დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რა ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობ რისკის გამოვლენას და რისკების შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობი შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის მიზნებია:

- სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, რომელთაც შეუძლია საფრთხის ქვეშ დააყენონ დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობი ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანებ შესასრულებლად;
- ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების და დასკვნების შესახებ და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობ კოდექსის", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და წყალტუბოს მუნიციპლიტეტის მერიის შიდ აუდიტის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთ სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსს, შიდ აუდიტის სტანდარტებს.

სტანდარტები მოითხოვს აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის დაცვას, აუდიტის დაგეგმვას და წარმართვ იმგვარად, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდეს შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობას.

შიდა აუდიტის სამსახური, სამსახურეობრივ უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას ახორციელებს მერ მიერ დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმების შესაბამისად.

2. მოკლე მიმოხილვა

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში განხორციელდა ერთი შიდა აუდიტორულ შემოწმება (შესაბამისობის აუდიტი). შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის აუდიტი) ჩაუტარდა წყალტუბ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურილ ერთეულს.

აღნიშნულ პერიოდში შიდა აუდიტიორული შემოწმება (შესაბამისობის აუდიტი) განხორციელდა:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმ სამსახურში.

1 ნაწილი - მიგნებები და რეკომენდაციები

1.1. თანამდებობრივი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების შესაბამისობა სამართლებრივ ჩარჩოსა და ფაქტობრივ მდგომარეობასთან

მიგნება N1

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესამოწმებელ პერიოდში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების სტრატეგიული და წლიური გეგმები არ იყო შემუშავებული და მერისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი.

რეკომენდაცია N1

აუდიტის ობიექტმა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების სტრატეგიული და წლიური გეგმების შემუშავებასა და მერისთვის დასამტკიცებლად წარდგენას.

მიგნება N1

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელეების მიერ კრიტერიუმში აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად (აქტების, მონიტორინგის ანგარიშების ან სხვ შესაბამისი დოკუმენტების სახით) არ დასტურდება. აღნიშნული გარემოება მიუთითებს დოკუმენტირები არასისტემურ პრაქტიკაზე და ხელს უშლის საქმიანობის ეფექტიან კონტროლსა და შეფასებას.

რეკომენდაცია N2

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს სამსახური პროფესიული საჯარო მოხელეების მიერ თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები შესრულების დოკუმენტური დადასტურება, მათ შორის აქტების, მონიტორინგის ანგარიშებისა და/ან სხ შესაბამისი დოკუმენტაციის სახით.

მიგნება N1

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის პროფესიული საჯარ მოხელეები ყოველთვიურ ანგარიშებსა და სამოქმედო გეგმებს სამსახურის უფროსს არ წარუდგენდნენ.

რეკომენდაცია N3

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს თანამდებობრი ინსტრუქციით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, სამსახურ პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა ყოველთვიური ანგარიშები და სამოქმედო გეგმები წარუდგინონ სამსახურ უფროსს.

მიგნება N1

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის პროფესიული საჯა მოხელეების მიერ არ იყო მომზადებული კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგებ შესახებ ანგარიშები, რომლებიც უნდა წარედგინათ სამსახურის უფროსისა და მუნიციპალიტეტის მერისთვის.

რეკომენდაცია N4

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, სამსახურის პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა მოამზადონ კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგების შესახებ ანგარიშები და წარუდგინონ სამსახურის უფროსსა და მუნიციპალიტეტის მერს.

მიგნება N1

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის დებულებაში არ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულის მიზნები და ამოცანები, ხოლო ფუნქციები არ არის სრულად და დეტალურად გაწერილი. აღნიშნული გარემოება ართულებს სამსახურის საქმიანობის ფარგლების ზუსტად დადგენას და ფუნქციური პასუხისმგებლობის ეფექტიან განაწილებას.

მიგნება N2

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით, მეორე კატეგორიის ერთ-ერთი უფროსი სპეციალისტის ფუნქციაა - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის კოორდინაცია,[1] თუმცა აღნიშნული ფუნქცია არ არის ასახული სამსახურის დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებში, რაც მიუთითებს დებულებასა და თანამდებობრივ ინსტრუქციას შორის შინაარსობრივ შეუსაბამობაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ N 04-4824358123 მოხსენებითი ბარათის თანახმად, სამსახურმა განიხილა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს N126/56 წერილი, რომელიც ეხებოდა აღნიშნული ორგანიზაციი სამტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის ცვლილებას და მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილებების განხორციელებ დანართის შესაბამისად.

მიგნება N3

შემოწმებით დადგინდა, რომ N04-482423954 წერილის თანახმად, სამსახურმა განიხილა საქართველო საპატრიარქოს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის N179 წერილი და სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფ სააგენტოს N1/667 რეკომენდაცია, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მერს მიმართა თხოვნით შესაბამის სამსახურისთვის დაევალებინა 10 000 (ათი ათასი) ლარის ჩარიცხვა ა(ა)იპ „ქუთაის - გაენათის ეპარქიის" ანგარიშზ ანალოგიური შემთხვევები იკვეთება N04-482423952, N04-482423953 და N04-482423955 წერილებშიც, რომელ თანახმადაც სამსახურმა განიხილა მიტროპოლიტის წერილები და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტ რეკომენდაციები, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მერს ზემოაღნიშნული შინაარსის თხოვნით მიმართ მართალია სამსახურს აქვს მერის ცალკეული დავალებების შესრულების უფლებამოსილება, თუმცა შესამოწმებ პერიოდში აღნიშნული შინაარსის დავალებები ხორციელდებოდა მრავალჯერადად, მიუხედავად იმისა, რ სამსახურის დებულებასა და თანამდებობრივ ინსტრუქციაში მსგავსი ფუნქცია განსაზღვრული არ იყო.

მიგნება N4

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესამოწმებელ პერიოდში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტ საფეხბურთო კლუბი სამგურალი" ლიკვიდირებული იყო და ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებდა. მიუხედავ ამისა, სამსახურის თანამდებობრივ ინსტრუქციაში განსაზღვრული იყო აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობ კოორდინაციის ფუნქცია.[2] აღნიშნული გარემოება იწვევს შეუსაბამობას თანამდებობრივი ინსტრუქციის შინაარსსა ორგანიზაციულ-ფაქტობრივ მდგომარეობას შორის.

რეკომენდაცია N5

შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებების ჩართულობით, უზრუნველყონ სამსახურის დებულებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის შინაარსობრივი შეფასება. აღნიშნული პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- თითოეული დოკუმენტის სიზუსტის, სამართლებრივი საფუძვლისა და პრაქტიკაში გამოყენების შეფასებას;
- დებულებასა და თანამდებობრივ ინსტრუქციას შორის შინაარსობრივი შესაბამისობის დეტალურ შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, ანალიზს შეუსაბამობების მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით.

მიღებული შედეგების საფუძველზე, დებულებასა და თანამდებობრივ ინსტრუქციაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის, შემდეგი მიმართულებით:

- დებულებაში დეტალურად და სრულად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები;
- უზრუნველყოფილ იყოს სამსახურის დებულებასა და თანამდებობრივ ინსტრუქციას შორის შინაარსობრივი შესაბამისობა - ისე, რომ ინსტრუქციით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები ეფუძნებოდეს დებულებით განსაზღვრულ ფუნქციურ ჩარჩოს და, ამასთან, ასახავდეს სამსახურის ფაქტობრივი საქმიანობის სფეროებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქციიდან ამოღებულ იქნას გაუქმებული / ფაქტობრივად არარსებული ორგანიზაციის - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი სამგურალის" კოორდინაციის ფუნქცია, ვინაიდან აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას.

ამასთან, აუდიტის ობიექტმა დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამსახურის დებულებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დროულ გადახედვასა და განახლებას მომდევნო პერიოდებში, საჭიროების შესაბამისად.

1.2 ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის შეფასება

მიგნება N1

დოკუმენტური მასალებისა და განსახილველი წლის ბიუჯეტის შესრულების მონაცემების შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალიწინებული იყო სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება, მათ შორის :

- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დღეები (დაფინანსება - 555 ლარი);
- ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი (დაფინანსება - 800 ლარი);
- შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში (დაფინანსება - 800 ლარი) ;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოღვაწე წყალტუბოელების ხსოვნის საღამო (დაფინანსება -2000 ლარი) ;
- ჭადრაკის ფესტივალი (დაფინანსება -1000 ლარი);
- გურამ ქურასბედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქართული ჭიდაობის ტურნირი (დაფინანსება - 800 ლარი);
- ფრენბურთის ტურნირი კერძო, საჯარო დაწესებულებებსა და უბნებს შორის (დაფინანსება - 200 ლარი);
- სპორტული აქტივობები ანიმატორების მონაწილეობით (დაფინანსება - 400 ლარი).

შესწავლით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებები არ ჩატარებულა, რის შედეგადაც პროგრამულ ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსები დარჩა გამოუყენებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავ ინფორმაციას ღონისძიებების გაუქმების, გადატანის ან გადადების შესახებ, ასევე არ ფიქსირდება მათ შეუსრულებლობის მიზეზები. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები მიუთითებს პროცესების არასათანად ადმინისტრირებაზე დაგეგმვის, შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპებზე.

რეკომენდაცია N6

რეკომენდებულია ღონისძიებების დაგეგმვის, შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესში დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და პროცედურები, მათ შორის:

- ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე წინასწარ შეაფასდეს ღონისძიების განხორციელებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები (მაგალითად: კალენდარული დატვირთულობა, ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა, სამიზნე ჯგუფების საჭიროებები და მოლოდინები და ა.შ.);
- ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე განხორციელდეს შესაძლო რისკების იდენტიფიცირება და მინიმუმამდე დაყვანა, ასევე შეფასდეს დაგეგმილი ღონისძიებების რეალური შესრულებადობა, რათა თავიდან იქნას აცილებული საბიუჯეტო სახსრების გამოუყენებლობისა და მოსახლეობის ინტერესების დაუკმაყოფილებლობის რისკები;
- თითოეული ღონისძიებისთვის განისაზღვროს კონკრეტული ვადები და პასუხისმგებელი პირები;
- გაძლიერდეს მონიტორინგი ღონისძიებების განხორციელებაზე, რაც ხელს შეუწყობს დროულ რეაგირებას შესაძლო შეფერხებებზე;
- დოკუმენტურად დაფიქსირდეს ნებისმიერი სახის ცვლილება ღონისძიების სტატუსში (გადადება, გაუქმება, გადატანა და სხვა), შესაბამისი საფუძვლითა და დასაბუთებით;
- განხორციელდეს შეუსრულებელი ღონისძიებების აღრიცხვა და ანალიზი, მათი განმაპირობებელი გარემოებების იდენტიფიცირებისა და მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებაზე მიმართული პრევენციული ქმედებების დაგეგმვის მიზნით;

- ღონისძიებების დაგეგმვის, შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპებზე მიღებული გამოცდილება სათანადოდ შეფასდეს და გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტის მომდევნო ციკლების დაგეგმვის პროცესში, როგორც ორგანიზაციული მეხსიერების შენარჩუნების, ისე პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით;
- სათანადოდ დაარქივდეს ღონისძიებების დაგეგმვის, შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ეტაპებზე წარმოებული დოკუმენტაცია, რაც ხელს შეუწყობს პროცესების გამჭვირვალობას, სისტემურ მართვას და შემდგომი შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

1.3 ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ადმინისტრირების პროცესის შეფასება

მიგნება N1

ახალგაზრდული ბანაკის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბანაკის მონაწილეთა შერჩევის პროცესი არ ეფუძნებოდა წინასწარ განსაზღვრულ და დოკუმენტურად შემუშავებულ წესსა და კრიტერიუმებს, ასევე გამოვლინდა, რომ განსაზღვრული არ იყო განცხადებების მიღების მექანიზმი. დოკუმენტურად დაუდასტურებელია განცხადებების განხილვის, მონაწილეთა შერჩევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი - წარმოდგენილი არ არის განცხადებების შემოწმების ფურცლები, შეფასების ფორმები, შერჩევის ოქმები, შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანებები, შეტყობინებები მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და/ან სხვა თანმდევი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, არ არის მიკვლევადი და წარმოდგენილი მასალა, რომელიც დაადასტურებდა ბანაკის შესახებ ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისთვის / მიზნობრივი აუდიტორიისთვის მიწოდებას. აღნიშნული გარემოებები მონაწილეთა შერჩევის პროცესში წარმოშობს ობიექტურობის, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დარღვევის რისკებს.

რეკომენდაცია N7

რეკომენდებულია, რომ სამსახურმა ახალგაზრდული ბანაკების ან მსგავსი ტიპის ღონისძიებების განხორციელებისას მოამზადოს და დაამტკიცოს შესაბამისი დებულება / წესი. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ასპექტები:

- ღონისძიების მიზნები და ამოცანები, მიზნობრივი აუდიტორია;

- მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება ობიექტურობის და თანაბრობის პრინციპებს (მაგალითად: ასაკი, რეგისტრაციის ადგილი, სოციალური სტატუსი, საგანმანათლებლო ან სხვა ტიპის პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება და ა.შ.);
- განაცხადებების მიღებისა და რეგისტრაციის მექანიზმი და პროცედურა, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტების სია.
- განცხადებების განხილვის, მონაწილეთა შერჩევის, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი და პროცედურა;
- მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უნდა მოიცავდეს: ღონისძიების მიზნების მიღწევის შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს; პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, რომლებიც ჩართულნი იქნებიან მონიტორინგისა და შეფასების პროცესში; უკუკავშირის მიღების ფორმებს მონაწილეებისგან, მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან (მაგალითად, ანონიმური კითხვარები); შეფასების შედეგებზე დაფუძნებულ ანგარიშს, რომელიც გამოყენებული იქნება მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის;
- ყველა ეტაპის (განცხადებების მიღება, განხილვა, მონაწილეთა შერჩევა, გადაწყვეტილების მიღება, ღონისძიების მონიტორინგი და შეფასება) სათანადო დოკუმენტირება (მაგალითად, განცხადების შემოწმების ფურცლები, შეფასების ფორმები, შერჩევის ოქმები, შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანებები, შეტყობინებები მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მონაწილეებისგან, მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების ფორმები, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შედგენილი ანგარიშები, ასევე, სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია საჭიროებისამებრ) და არქივირება.

რეკომენდაცია N8

რეკომენდებულია, რომ სამსახურმა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდული ბანაკების ან მსგავსი ტიპის ღონისძიებების ორგანიზების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულყოფილ წარმოებასა და სათანადო არქივირებას.

რეკომენდაცია N9

ახალგაზრდული ბანაკების ან მსგავსი ტიპის ღონისძიებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, განცხადებების წარდგენის ვადები და პირობები, მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები დაინტერესებულ მხარეებს / მიზნობრივ აუდიტორიას უნდა მიეწოდოს დროულად, ამომწურავად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებითა და მათზე მორგებული ფორმით. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას, თანაბარი ხელისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას.

1.4 სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის სახსრების მართვის შეფასება

1.4.1 წარმატებული სპორტსმენების ფულადი წახალისების პროცესის შეფასება

მიგნება N1

დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წარმატებულ სპორტსმენებს ფულადი თანხები გადაეცემოდათ „ფულადი დახმარების" ფორმით. თუმცა ფაქტობრივი გარემოებები და გადაცემის კონტექსტი მიუთითებს, რომ აღნიშნული ფულადი დახმარებები არსებითად ატარებდა წახალისების ხასიათს და ემსახურებოდა სპორტული მიღწევების დაფასებასა და მოტივაციის გაძლიერებას. მოქმედი კანონმდებლობით, ფულადი დახმარება განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული საჭიროებები სოციალური, ეკონომიკური ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. თავის მხრივ, წახალისება ან ფულადი ჯილდო გაიცემა დამსახურების, მიღწეული შედეგის ან პროფესიული წვლილის საფუძველზე და მიზნად ისახავს მოტივაციის ამაღლებასა და დადებითი პრაქტიკის წახალისებას. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით იკვეთება შეუსაბამობა გაცემული ფულადი თანხების ფაქტობრივ მიზნობრიობასა და მათ გაცემაზე შერჩეულ სამართლებრივ ფორმას შორის.

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით ხორციელდება ფულადი დახმარების გაცემა. თუმცა, ამ პროცესის მართვისა და რეგულირებისთვის არაა შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისი წესი, რომელიც განსაზღვრავდა:

- ფულადი დახმარების გაცემის მიზანს, საფუძვლებსა და კრიტერიუმებს ;
- შეფასების ინდიკატორებს და მინიჭების წესს;
- ფულადი დახმარების ოდენობის განსაზღვრის მექანიზმს;
- განაცხადებების მიღების პროცედურას და თანდართული დოკუმენტების სიას;
- განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურას;
- შესაბამისი პროცესებისა და აქტივობების დოკუმენტირებას.

მიგნება N3

დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ფულადი დახმარების გაცემის პროცესში არ იყო მოთხოვნილი და წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია:

- ფულადი დახმარების მიმღები სპორტსმენების პირადობის მოწმობის ან დაბადების მოწმობის ასლები;
- ფულადი დახმარების გაცემის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგალითად, გამარჯვების ან საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დიპლომი ან შესაბამისი ცნობა ფედერაციიდან.

მიგნება N4

დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვანი სპორტსმენებისთვის განკუთვნილი ფულადი დახმარებები ჩაირიცხა მათი მწვრთნელების საბანკო ანგარიშებზე, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი არ იყო არც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების წერილობითი თანხმობები და არც შესაბამისი მინდობილობები.

მიგნება N5

დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევებში გამარჯვებული გუნდებისთვის განკუთვნილი ფულადი დახმარებები ჩაირიცხა გუნდების კაპიტნების საბანკო ანგარიშებზე, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი არ იყო გუნდის წევრთა წერილობითი თანხმობები ან შესაბამისი მინდობილობები.

მიგნება N6

დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებამ" N10-482414958-48 განცხადებით მიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს 2010–2011 წლებში დაბადებულ ვაჟთა ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული ხელბურთელთა კლუბის „პრომეთეს" სპორტსმენთა წახალისების მიზნით. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, სამსახურმა (მოხსენებითი ბარათი N04-482414995) მიზანშეწონილად მიიჩნია კლუბის მწვრთნელისთვის ფულადი დახმარების სახით 2000 ლარის ჩარიცხვა. თუმცა, აღნიშნულ მოხსენებით ბარათში არ იკვეთება არგუმენტირებული დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ
შეიცვალა წახალისების მიმღები. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივის საწყისი მიზანი იყო უშუალოდ სპორტსმენთა წახალისება, ფულადი დახმარება გადაეცა მწვრთნელს, რაც ქმნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობისა და დასაბუთებულობის ნაკლებობის რისკებს.

რეკომენდაცია N10

მიზანშეწონილია, სამსახურმა გადახედოს პრაქტიკას, რომლის ფარგლებშიც სპორტული მიღწევების მქონე პირებს ფულადი თანხები გადაეცემათ „ფულადი დახმარების" სამართლებრივი ფორმით, მაშინ როდესაც აღნიშნული თანხების გაცემის მიზანია წახალისება და მოტივაციის გაზრდა. რეკომენდებულია, განხორციელდეს არსებული მიდგომის კორექტირება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას გაცემული ფულადი თანხების მიზნობრიობისა და გამოყენებული სამართლებრივი ფორმის ერთმნიშვნელოვანი შესაბამისობა.

რეკომენდაცია N11

უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს წესი, რომელიც დაარეგულირებს წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემის პროცესს. აღნიშნული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემის მიზანი, საფუძვლები და კრიტერიუმები;
- ფულადი ჯილდოს / წახალისების ოდენობის განსაზღვრის მექანიზმი და პროცედურა;
- არასრულწლოვან სპორტსმენებზე ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემის მექანიზმი და პროცედურა, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არასრულწლოვანი სპორტსმენისთვის განკუთვნილი თანხა უნდა ჩაირიცხოს მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მეურვე, მზრუნველი) საბანკო ანგარიშზე. კანონიერი წარმომადგენლის გარდა, სხვა პირის საბანკო ანგარიშზე არასრულწლოვანი სპორტსმენისთვის განკუთვნილი ფულადი ჯილდოს / წახალისების ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილი იყოს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნოტარიულად დამოწმებული შესაბამისი მინდობილობა;
- გუნდებისთვის განკუთვნილი ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემის მექანიზმი და პროცედურა, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ფულადი ჯილდოს / წახალისების გუნდის ერთ-ერთი წევრის (მაგალითად, გუნდის კაპიტნის) საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის შემთხვევაში აუცილებელია წარმოდგენილი იყოს გუნდის დანარჩენი წევრების წერილობითი თანხმობა ან ნოტარიულად დამოწმებული შესაბამისი მინდობილობა;
- განცხადებების მიღების მექანიზმი და პროცედურა, თანდართული დოკუმენტების სია (სპორტსმენის პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი; გამარჯვების / საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - დიპლომის / სერტიფიკატის ასლი ან შესაბამისი ცნობა სპორტული ფედერაციის / ორგანიზატორი ორგანოსგან ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი);
- განცხადებების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი და პროცედურა;
- ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მექანიზმები - გასათვალისწინებელია, რომ ფულადი ჯილდოს/ წახალისების გაცემის პროცესში თავიდან უნდა იქნას აცილებული შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი;
- ანგარიშგებისა და დოკუმენტირების პროცედურები - წესი უნდა მოიცავდეს პროცესის თითოეული ეტაპის შესაბამისი დოკუმენტების წარმოების და ანგარიშგების მექანიზმებს;
- შემუშავებული წესის პერიოდული გადახედვისა და განახლების მექანიზმები.

რეკომენდაცია N12

სამსახურმა უზრუნველყოს ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემის დადგენილი წესის დანერგვა პრაქტიკაში და შესაბამისი პროცესების წარმართვა დოკუმენტში განსაზღვრული მოთხოვნებისა და პროცედურების სრული დაცვით. დამატებით, მიზანშეწონილია დადგენილი წესის პრაქტიკული გამოყენების პროცესზე სისტემური მონიტორინგის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში მისი გადახედვა და განახლება, რათა დოკუმენტი მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემის პროცესის ეფექტიანობას, მიზნობრიობას და შესაბამისობას მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

რეკომენდაცია N13

სამსახურმა უზრუნველყოს ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულფასოვანი მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებითა და ადრესატების საჭიროებებზე მორგებული ფორმატით.

რეკომენდაცია N14

ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემასთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობისა და დასაბუთებულობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია კონტროლის მექანიზმების გაძლიერება, კერძოდ:

- ფულადი ჯილდოს /წახალისების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადებების განხილვისას აუცილებელია მათი დეტალური შინაარსობრივი ანალიზის ჩატარება, რათა შემცირდეს არასწორი ინტერპრეტაციის ან / და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკები;
- ფულადი ჯილდოს / წახალისების მიმღები პირების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, შესაბამისი არგუმენტაციითა და დოკუმენტური დასაბუთებით;
- რეკომენდირებულია, რომ ფულადი ჯილდოს / წახალისების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნას შესაბამისი კომისიის ფორმატში, რაც გაზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას, დასაბუთებულობასა და ობიექტურობას.

1.4.2 სპორტული შეჯიბრებების დოკუმენტური უზრუნველყოფის შეფასება

მიგნება N1

მიკვლევადი და წარმოდგენილი არ არის სამსახურის მიერ ორგანიზებულ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეთა სიები, მათი პირადობის / დაბადების მოწმობების ასლები, რეგისტრაციის განაცხადები, არასრულწლოვნების მონაწილეობაზე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები / ნებართვები; შეჯიბრის შედეგების ამსახველი დოკუმენტები, გამარჯვებულთა სიები, დოკუმენტური ჯილდოების (დიპლომი, სიგელი), სიმბოლური ნივთობრივი ჯილდოების (მედალი, თასი) და მატერიალური ჯილდოების (ფიზიკური საგნები მატერიალური ღირებულებით, რომლებიც წარმოადგენენ პრაქტიკული ან ეკონომიკური გამოყენების რესურსს) გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები; ანგარიშები ჩატარებული შეჯიბრის შესახებ.

მიგნება N2

შესწავლით დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში სამსახური სპორტულ შეჯიბრებებს ატარებდა შესაბამისი დებულებების შემუშავების და დამტკიცების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე მიკვლევადი არ არის შეჯიბრის მიზნები და ამოცანები, მიზნობრივი აუდიტორია, მონაწილეობის პირობები; რეგისტრაციის წესი და ვადები, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, შეჯიბრის ჩატარების წესი, უსაფრთხოების ნორმები; დისკვალიფიკაციისა და დავების გადაჭრის წესი; გამარჯვებულთა დაჯილდოების წესი და ა.შ.

მიგნება N3

შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის 2 ივლისის N156 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულია ფეინთბოლის ჩემპიონატის ორგანიზების მომსახურება. აღნიშნული მომსახურების მიღება დადასტურებულია შესაბამისი N38 სხდომის ოქმითა და N38 მიღება-ჩაბარების აქტით. ხელშეკრულების პირობებით არ იყო განსაზღვრული და ფაქტობრივად არც ჩემპიონატის ჩატარების შემდგომ წარმოუდგენია მიმწოდებელს ღონისძიების ჩატარების პროცესის, შედეგების მიკვლევადობისა და შეფასების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის:

- დებულება, სადაც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ჩემპიონატის მიზნები და ამოცანები, მიზნობრივი აუდიტორია, მონაწილეობის პირობები, რეგისტრაციის წესი და ვადები, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, ჩემპიონატის ჩატარების წესი, უსაფრთხოების ნორმები; დისკვალიფიკაციისა და დავების გადაჭრის წესი და ა.შ.
- მონაწილეთა და გამარჯვებულთა სია;
- ანგარიში ჩატარებული ჩემპიონატის შესახებ;

- ჩემპიონატის შედეგების ამსახველი დოკუმენტები - ოქმი / აქტი / სხვ.

ასევე წარმოდგენილი არ არის ჩემპიონატის ამსახველი ფოტო / ვიდეომასალა.

მიგნება N4

შესწავლის შედეგად დადინდა, რომ სხვადასხვა სპორტული ღონისძიების (ტურნირის) თანაორგანიზატორი სამსახურთან ერთად იყო ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება". თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის, აღნიშნული ღონისძიებების დებულებებსა და სხვა დაკავშირებულ დოკუმენტებში არ იყო განსაზღვრული აღნიშნული ა(ა)იპ-ის როლი, ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, მათ შორის, მისი საორგანიზაციო ჩართულობის მოცულობა ღონისძიების ბიუჯეტთან, ადამიანურ ან მატერიალურ რესურსებთან მიმართებით.

მიგნება N5

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მიღებული N05-482410694-48 კორესპონდენცია ეხებოდა 2024 წლის აპრილის თვიდან 26 მაისამდე პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი თამაშების ორგანიზების საკითხს. კორესპონდენციას თან ერთვოდა აღნიშნული თამაშების დებულება, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახური ირჩევდა და ადგენდა სპორტის სახეობებს, ირჩევდა მონაწილე სკოლებს, ატარებდა კენჭისყრას, საზეიმოდ ხსნიდა და ატარებდა თამაშებს. ამავე დებულების მიხედვით, მონაწილე სკოლები სახეობების მიხედვით განაცხადებს წარუდგენდნენ მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურს ან მის მიერ შერჩეულ ორგანიზაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახურის N04-4824163123 მოხსენებითი ბარათით მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა, რომ მუნიციპალიტეტმა 2024 წლის აპრილ-მაისში მხარი დაუჭირა მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობას„თავისუფლების თამაშების" ორგანიზების პროცესში. აუდიტის ობიექტის წარმომადგენლების ზეპირი განმარტებით ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთის, მკლავჭიდისა და ჭადრაკის ტურნირები. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტურნირების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო / ვიდეო მასალა მიკვლევადი და წარმოდგენილი არ არის.

მიგნება N6

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მიღებული კორესპონდენცია N05-482427026-48 ეხებოდა 2024 წლის 23 სექტემბრიდან მუნიციპალიტეტში სასკოლო სპორტული კვირეულის ჩატარებას თანდართული სასკოლო სპორტის კვირეულის საორგანიზაციო გზამკვლევის მიხედვით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახურის N04-482428310 მოხსენებითი ბარათით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა, რომ სასკოლო სპორტული კვირეულის აღსანიშნავად გაიმართა ორი ტურნირი: მკლავჭიდი და ფეხბურთი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტურნირების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტური, აგრეთვე ფოტო / ვიდეო მასალა მიკვლევადი და წარმოდგენილი არ არის

მიგნება N7

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მიღებული კორესპონდენცია N05-482427017-48 ეხებოდა მუნიციპალიტეტის სპორტის მოყვარულთა, წარმატებული და ვეტერანი სპორტსმენების ჩართულობას სპორტისა და ოლიმპიზმის დღის აღნიშვნაში. კორესპონდენციას თან ერთვოდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წერილი, მთელი ქვეყნის მასშტაბით 2024 წლის 6 ოქტომბერს სპორტისა და ოლიმპიზმის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახურის N04-48242839 მოხსენებითი ბარათით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა, რომ სპორტისა და ოლიმპიზმის დღის აღსანიშნავად გაიმართა მაგიდის ჩოგბურთის სამოყვარულო ტურნირი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტურნირის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტური, აგრეთვე ფოტო / ვიდეო მასალა მიკვლევადი და წარმოდგენილი არ არის.

მიგნება N8

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მიღებულ კორესპონდენციაში (№05-48241649-48) აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაციით მუნიციპალიტეტში 2024 წლის 23 ივნისს უნდა აღნიშნულიყო საერთაშორისო ოლიმპიზმის დღე და მუნიციპალიტეტში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისთვის უნდა განხორციელებულიყო 2024 წლის 21 ივნისამდე.

აღნიშნულ წერილს თან ერთვოდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გაგზავნილი წერილი, რომლითაც სახელმწიფო რწმუნებულს ეთხოვა შესაბამისი სამსახურებისთვის მიეცა დავალება, იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ოლიმპიზმის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებების ჩატარების თაობაზე.

N48-482417189 წერილით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მიეწოდა ინფორმაცია, რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება" გამართავდა შახმატის, სამოყვარულო ნარდისა და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირებს.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის" სამსახურს ოფიციალურად არ გადაუგზავნია წერილი, გადაწყვეტილება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზების ფუნქციის დაკისრებას / გადაცემას დაადასტურებდა. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ა(ა)იპ-თან განხორციელდა ზეპირი კომუნიკაცია.

მიგნება N9

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2024 – 2025 წლის დებულების მიხედვით, 2024 წლის 30 სექტემბრამდე - ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ოლიმპიადაში მონაწილე სკოლების განაცხადები უნდა გადაეცა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ადგილობრივი საორგანიზაციო ჯგუფისთვის (მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური). 2024 წლის 07 ოქტომბრამდე - ადგილობრივ საორგანიზაციო ჯგუფს (მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური), დასკანერებული განაცხადები უნდა გადაეგზავნს საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციისთვის. შეჯიბრში მონაწილე სკოლის გუნდს, თამაშის დაწყებამდე უნდა გაევლო რეგისტრაცია. რეგისტრაციისთვის გუნდს უნდა წარმოედგინა: განაცხადი (ოლიმპიადის დადგენილი ფორმა); განაცხადში შეყვანილი მოთამაშეების პირადობის მოწმობის ასლები ან სკოლის დირექტორის მიერ ბეჭდით დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლები მოთამაშეების ფოტოსურათით (მიმდინარე სასწავლო წელს გადაღებული) და ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100) ან მშობლის თანხმობის ფორმა. გუნდს, რომელიც რეგისტრაციის დროს არ / ვერ წარმოადგენდა რეგისტრაციისთვის მოთხოვნილ დოკუმენტაციას, ამ თამაშების საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, შესაძლებელი იყო მისცემოდა გონივრული ვადა აღნიშნული დარღვევის გამოსასწორებლად. დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში გუნდი იხსნებოდა თამაშიდან / შეჯიბრიდან.

N04-4824254110 მოხსენებითი ბარათით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა, რომ სამსახური გაეცნო ოლიმპიადის პროგრამასა და დებულებას.

შესწავლით ირკვევა, რომ სამსახურმა ორგანიზება გაუწია მუნიციპალურ თამაშებს, თუმცა რეგისტრაციისთვის გუნდების მიერ წარმოდგენილი განაცხადები (ოლიმპიადის დადგენილი ფორმით); განაცხადში შეყვანილი მოთამაშეების პირადობის მოწმობის ასლები ან სკოლის დირექტორის მიერ ბეჭდით დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლები მოთამაშეების ფოტოსურათით და ჯანმრთელობის ცნობები (ფორმა 100) ან მშობლის თანხმობის ფორმები აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა, ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი დასკანერებული განაცხადების საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციისთვის გადაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია N15

აუდიტის ობიექტმა სპორტული შეჯიბრებების ჩატარებისას უნდა უზრუნველყოს ღონისძიების ყველა ეტაპის (დაგეგმვა, შესრულება, მონიტორინგი, ანგარიშგება) სათანადო დოკუმენტური უზრუნველყოფა, კერძოდ:

- შეიმუშავოს სპორტული შეჯიბრის დებულება, რომლშიც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მიზნები და ამოცანები, მიზნობრივი აუდიტორია, მონაწილეობის პირობები, რეგისტრაციის წესი და ვადები,

რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, მათ შორის, რეგისტრაციის განაცხადი (ფორმა), პირადობის მოწმობის ან დაბადების მოწმობის (არასრულწლოვნებისთვის) ასლი, ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში), თანხმობა / ნებართვა არასრულწლოვნების მონაწილეობაზე კანონიერი წარმომადგენლისგან და ა.შ.; შეჯიბრის ჩატარების წესი, უსაფრთხოების ნორმები; დისკვალიფიკაციისა და დავების გადაჭრის წესი; გამარჯვებულთა დაჯილდოების წესი და ა.შ.

- შეადგინოს და სათანადოდ დაარქივოს მონაწილეთა სია, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

უზრუნველყოს მონაწილეთა რეგისტრაციის დოკუმენტების (რეგისტრაციის განაცხადი, პირადობის მოწმობის ან დაბადების მოწმობის (არასრულწლოვნებისთვის) ასლი, ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში),

- თანხმობა/ნებართვა არსრულწლოვნების მონაწილეობაზე კანონიერი წარმომადგენლისგან და ა.შ.) მიღება და სათანადო არქივირება;
- შეადგინოს და სათანადოდ დაარქივოს შეჯიბრის შედეგების ამსახველი დოკუმენტები;
- შეადგინოს და სათანადოდ დაარქივოს დოკუმენტური ჯილდოების (დიპლომი, სიგელი, სერტიფიკატი და სხვ.) და სიმბოლური ნივთობრივი ჯილდოების (მედალი, თასი, სიმბოლური პრიზი, მედალიონი ან სამკერდე ნიშანი და ა.შ.); მიმღებ პირთა სია, რომელიც უნდა შეიცავდეს მათ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), მიღებული ჯილდოს სახეობასა და სპეციფიკაციას, მიმღების / შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერას. იმ შემთხვევაში, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია მიმღებ / შესაბამის უფლებამოსილ პირთა ინდივიდუალური ხელმოწერების უზრუნველყოფა, გაცემის ფაქტის დასადასტურებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს პასუხისმგებელი პირი / პირები, აღნიშნულ ოქმს სასურველია თან დაერთოს ფოტო / ვიდეო მასალა.
- შეადგინოს და სათანადოდ დაარქივოს მატერიალური ჯილდოების (ფიზიკური საგნები მატერიალური ღირებულებით, რომლებიც წარმოადგენენ პრაქტიკული ან ეკონომიკური გამოყენების რესურსს) მიმღებ პირთა სია, რომელიც უნდა შეიცავდეს მათ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), მიღებული ჯილდოს სახეობასა და სპეციფიკაციას, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც შედგენილი არ არის მიღება-ჩაბარების აქტი) მიმღების / შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

  იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალური ჯილდო მიეკუთვნება მცირე ღირებულების საგნებს და არ წარმოადგენს ხანგრძლივი გამოყენების ან ეკონომიკური სარგებლიანობის მქონე აქტივს, მისი გაცემის ფაქტის დადასტურება განხორციელდეს მიმღებ პირთა სიით, რომელიც უნდა შეიცავდეს: მიმღების სახელს, გვარს, პირად ნომერს, მიღებული ჯილდოს დასახელებას და სპეციფიკაციას, მიმღების ან უფლებამოსილი პირის ხელმოწერას. იმ შემთხვევაში, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია მიმღებ / შესაბამის უფლებამოსილ პირთა ინდივიდუალური ხელმოწერების უზრუნველყოფა, გაცემის ფაქტის დასადასტურება შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი გაცემის ოქმით, რომელსაც ხელს მოაწერს პასუხისმგებელი პირი / პირები, აღნიშნულ ოქმს სასურველია თან დაერთოს შესაბამისი ფოტო / ვიდეო მასალა.

  იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალური ჯილდო არ მიეკუთვნება მცირე ღირებულების საგნებს და იგი ითვლება პრაქტიკული გამოყენების ან ეკონომიკური სარგებლიანობის მქონე აქტივად, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალური ჯილდო მიეკუთვნება მცირე ღირებულების საგნებს, მაგრამ მისი დანიშნულება გულისხმობს პრაქტიკულ გამოყენებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ან წარმოშობს მატერიალურ პასუხისმგებლობას, მიზანშეწონილია მისი გაცემა განხორციელდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
- შეადგინოს და სათანადოდ დაარქივოს ანგარიში ჩატარებული ღონისძიების შესახებ, რომელშიც უნდა აისახოს:

  1. ღონისძიების ჩატარების თარიღი და ადგილი;
  2. დამსწრეთა რაოდენობა;
  3. მონაწილეთა რაოდენობა;
  4. გამარჯვებულთა სია, რომელიც უნდა შეიცავდეს მათ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი). იმ შემთხვევაში, როდესაც გამარჯვებულთა რაოდენობა დიდია ან მონაცემების წარმოდგენა საჭიროებს დეტალურ კლასიფიკაციას (მაგალითად, ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით, კატეგორიების მიხედვით და სხვ.), რეკომენდირებულია აღნიშნული სია გამოყოფილი იქნას ცალკე

დანართად, რომელიც ანგარიშს ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, ხოლო ანგარიშში ასახული უნდა იყოს გამარჯვებულთა შესახებ ძირითადი ინფორმაცია შემაჯამებელი სახით და დანართის მითითებით.
5. ფულადი ჯილდოს მიმღებ პირთა სია, რომელიც უნდა შეიცავდეს მათ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი). იმ შემთხვევაში, როდესაც ფულადი ჯილდოს მიმღებ პირთა რაოდენობა დიდია ან მონაცემების წარმოდგენა საჭიროებს დეტალურ კლასიფიკაციას (მაგალითად, ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით, კატეგორიების მიხედვით და სხვ.), რეკომენდებულია აღნიშნული სია გამოყოფილი იქნეს ცალკე დანართად, რომელიც ანგარიშს ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, ხოლო ანგარიშში ასახული უნდა იყოს ფულადი ჯილდოს მიმღებ პირთა შესახებ ძირითადი ინფორმაცია შეჯამებული სახით და დანართის მითითებით.
6. უსაფრთხოების და ორგანიზების შეფასება;

- მოახდინოს ღონისძიების ფოტო / ვიდეო მასალის უზრუნველყოფა და არქივირება.

რეკომენდაცია N16

ყველა ღონისძიებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში, რომელშიც სამსახურთან ერთად თანაორგანიზატორად მონაწილეობს სხვა იურიდიული / ფიზიკური პირი, მკაფიოდ გაიწეროს შესაბამისი იურიდიული / ფიზიკური პირის ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, საორგანიზაციო ჩართულობა ღონისძიების ბიუჯეტთან, ადამიანურ ან მატერიალურ რესურსებთან მიმართებით, თანაორგანიზატორის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშგების ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტური მასალის წარმოდგენის ვალდებულება. თანაორგანიზატორს შეიძლება გააჩნდეს შემდეგი ფუნქციები: მონაწილეთა მობილიზაცია, ინფორმირება და რეგისტრაცია, ღონისძიების ჩასატარებელი ლოკაციის ორგანიზება და ა.შ.

რეკომენდაცია N17

მიზანშეწონილია, რომ სამსახურმა სპორტული შეჯიბრებებისა და მსგავსი ტიპის ღონისძიებების ორგანიზება, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოს საკუთარი პერსონალითა და რესურსებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ღონისძიების ორგანიზება აღნიშნული გზით ვერ ხერხდება და ეს სათანადოდ დასაბუთებულია შესაბამისი დოკუმენტაციით, ხოლო ღონისძიების ორგანიზება ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის გზით, შესყიდვის ხელშეკრულების პირობებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მიმწოდებლის ვალდებულება წარმოადგინოს ყველა ის აუცილებელი დოკუმენტი და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ღონისძიების ჩატარების პროცესისა და შედეგების მიკვლევადობისა და შეფასებისთვის.

რეკომენდაცია N18

რეკომენდებულია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სპორტული ღონისძიებების ორგანიზება სრულად ან ნაწილობრივ გადაეცემა მესამე პირს (მაგალითად, ა(ა)იპ-ს), სამსახურმა უზრუნველყოს პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების გადაცემა წერილობით და ოფიციალურ ფორმატში.
ამასთან, მიზანშეწონილია, ყველა ასეთ შემთხვევაში სრულად იყოს უზრუნველყოფილი ჩატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და ფოტო / ვიდეო მასალის წარმოდგენა შესაბამისი პირების მიერ, ხოლო აუდიტის ობიექტის მიერ მათი სათანადო არქივირება.

რეკომენდაცია N19

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის დებულების შესაბამისად, მუნიციპალური თამაშების ორგანიზებისას სამსახურმა უზრუნველყოს მონაწილეთა განაცხადების (ოლიმპიადის დადგენილი ფორმით), განაცხადში შეყვანილი მოთამაშეების პირადობის მოწმობის ასლების ან სკოლის დირექტორის მიერ ბეჭდით დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლების (მოთამაშეების ფოტოსურათით) და ჯანმრთელობის ცნობების (ფორმა 100) ან მშობლის თანხმობის ფორმების, ასევე დასკანერებული განაცხადების გადაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სათანადო არქივირება.

1.5 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების ეტაპის დოკუმენტური მართვის შეფასება

1.5.1 კვებითი მომსახურების ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტური მართვის შეფასება

მიგნება N1

დოკუმენტური მასალის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული ღონისძიებების ფარგლებში კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია საკვები პროდუქტების რაოდენობა ერთეულების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს შესყიდვის მოცულობის წინასწარ განსაზღვრას, მაგრამ არ არის მითითებული, რამდენ პირზე იყო გათვლილი აღნიშნული რაოდენობა. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების ეტაპის სხდომის ოქმებსა და მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის ასახული მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა, ასევე არ არის წარმოდგენილი მიმღებ პირთა სია ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც ართულებს გაწეული ხარჯების ფაქტობრივი მოცულობის და მიზნობრივი გამოყენების სრულყოფილ შეფასებას. აღნიშნული გარემოებები იკვეთება სხვადასხვა შემთხვევებში, მაგალითად:

- წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის დაგეგმილ გაცვლით ღონისძიებაში მონაწილეთათვის 2024 წლის 21 მარტს განხორციელებული ფურშეტის მომსახურება (სხდომის ოქმი N13 და მიღება-ჩაბარების აქტი N13).
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მკლავჭიდის ტურნირის მონაწილეთათვის 2024 წლის 26 მაისს განხორციელებული სარესტორნო მომსახურება (სხდომის ოქმი N26 და მიღება-ჩაბარების აქტი N26).
- კედირ ჯიმშელეიშვილის და საქართველოს სპარტაკიადის ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილეთათვის 2024 წლის 22 ოქტომბერს განხორციელებული სარესტორნო მომსახურება (სხდომის ოქმი N70 და მიღება-ჩაბარების აქტი N70).

მიგნება N2

2024 წლის 21 მარტს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N100 ხელშეკრულება სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ ტურზე სხვადასხვა სახეობაში მონაწილეთათვის ფურშეტის მომსახურების შესყიდვის მიზნით, საერთო ღირებულებით 1350 ლარი. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2024 წლის 5 აპრილის ჩათვლით,შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ფურშეტის მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული სრული მოცულობით შესრულდა 2024 წლის მარტის თვეში, რაც დადასტურებულია სხდომის ოქმითა და მიღება-ჩაბარების აქტით. ოლიმპიადის ოფიციალური გრაფიკისა და სამსახურის თანამშრომლის მივლინების ბრძანებების მიხედვით, 2024 წლის აპრილის თვეშიც არსებობდა კვებითი უზრუნველყოფის საჭიროება წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან ოლიმპიადის რეგიონალურ ტურში მონაწილე გუნდებისთვის, კერძოდ, 2024 წლის 2 აპრილს ვანის მუნიციპალიტეტში ოლიმპიადის რეგიონალურ ტურში მონაწილეობას იღებდა მინი ფეხბურთის წყალტუბოს მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული ვაჟების გუნდი, ხოლო 2024 წლის 3 აპრილს - გოგონების გუნდი. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით კვებითი მომსახურების შესყიდვა არ განხორციელებულა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ სამსახურმა მომსახურების მოწოდების გრაფიკი დაგეგმა ისე, რომ ვერ უზრუნველყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ ტურზე მონაწილე ყველა პირის კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სხდომის ოქმსა და მიღება-ჩაბარების აქტში არ არის ასახული კონკრეტულად რომელ სახეობაში მოასპარეზე რომელი გუნდებისთვის განხორციელდა კვებითი მომსახურება და განხორციელების კონკრეტული თარიღი; არ არის ასახული კვებითი მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა, ასევე არ არის წარმოდგენილი კვებითი მომსახურების მიმღებ პირთა სია ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიგნება N3

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2024 წლის 15 მაისის N128 ხელშეკრულების საფუძველზე, 2024 წლის 14 ივნისის N34 სხდომის ოქმისა და N34 მიღება-ჩაბარების მიხედვით, განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ზონალური ტურის და ფეხბურთის სასკოლო ლიგის მონაწილეთათვის ფურშეტის მომსახურების მიღება. შესწავლით დადგინდა, რომ შესაბამის დოკუმენტებში არ არის ასახული მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა, ასევე არ არის წარმოდგენილი მომსახურების მიმღებ პირთა სია ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გარდა ამისა, დოკუმენტაციაში არ არის უზრუნველყოფილი ხარჯების დიფერენცირებული გამოყოფა თითოეული ღონისძიების (სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ზონალური ტური და ფეხბურთის სასკოლო ლიგა) მიხედვით, რის შედეგადაც ვერ ხერხდება თითოეული ღონისძიებისთვის გაწეული მომსახურების მოცულობისა და ღირებულების იდენტიფიცირება.

მიგნება N4

2024 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული N189 ხელშეკრულების საფუძველზე, N48 სხდომის ოქმისა და N48 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, განხორციელდა ფურშეტის მომსახურების მიღება 2024 წლის 18 სექტემბერს დაგეგმილი ღონისძიებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტებში (N48 სხდომის ოქმი, N48 მიღება-ჩაბარების აქტი და N189 ხელშეკრულება) არ არის მითითებული რა სახის ღონისძიებისთვის ხორციელდებოდა ფურშეტის მომსახურება; არ არის ასახული ფურშეტის მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა; აგრეთვე არ არის წარმოდგენილი მომსახურების მიმღებ პირთა სია ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მხოლოდ შესყიდვის ინიცირების წერილიდან N04-4824256164 ირკვევა, რომ 2024 წლის 18 სექტემბერს დაგეგმილი იყო კლასიკური მუსიკის საღამო და შეხვედრა მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებთან და მასწავლებლებთან. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ფურშეტის მომსახურება სწორედ ამ ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა.

მიგნება N5

დოკუმენტური მასალების (N70 სხდომის ოქმისა და N70 მიღება-ჩაბარების აქტის) მიხედვით, 2024 წლის 22 ოქტომბერს განხორციელდა სარესტორნო მომსახურება კედირ ჯიმშელეიშვილის და საქართველოს სპარტაკიადის ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილე სპორტსმენებისთვის. მუნიციპალიტეტის მერის N48.482427611 ბრძანებით დამტკიცებული ტურნირის დებულების მიხედვით, აღნიშნული ტურნირი გაიმართა 2024 წლის 19-20 ოქტომბერს. აუდიტის ობიექტის განმარტებით, სხდომის ოქმსა და მიღება-ჩაბარების აქტში ასახული სარესტორნო მომსახურების განხორციელების თარიღის შეუსაბამობა ტურნირის ფაქტობრივი ჩატარების პერიოდთან წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას.

რეკომენდაცია N20

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული კვებითი მომსახურების სრულყოფილ დოკუმენტურ უზრუნველყოფას, კერძოდ:

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში საკვები პროდუქტების რაოდენობასთან ერთად განისაზღვროს აღნიშნული მომსახურების მიმღებ პირთა სავარაუდო რაოდენობაც;
- მომსახურების მიღების დამადასტურებელ სხდომის ოქმებსა და მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირდეს ღონისძიების დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება მომსახურება, ასევე აისახოს მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა და, შესაძლებლობის ფარგლებში, თანდართული იყოს მათი იდენტიფიცირებადი სია;
- იმ შემთხვევებში, როდესაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მომსახურების მიმღებ პირთა სრული სიის შედგენა ვერ ხდება, დოკუმენტურად უნდა აისახოს მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა, მომსახურების მიზნობრიობა და გაკეთდეს განმარტება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც

განაპირობა სრული სიის წარმოდგენის შეუძლებლობა. აღნიშნულ შემთხვევებში სასურველია დამატებით თანდართული იყოს შესაბამისი ფოტო / ვიდეო მასალა;

- იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურება ხორციელდება რამდენიმე ღონისძიებისთვის, ხელშეკრულების პირობებში და/ან შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტებში დიფერენცირებულად აისახოს თითოეული ღონისძიებისთვის გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება;

დოკუმენტაციის მომზადების პროცესში დაინერგოს შინაარსობრივი გადამოწმების მექანიზმი, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის შეუსაბამობა და ტექნიკური ხასიათის შეცდომები. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას მათი დროული გასწორება, შესაბამისი განმარტებების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა სამართლებრივი და შინაარსობრივი გამართულობის უზრუნველსაყოფად.

1.5.2 სატრანსპორტო მომსახურების ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტური მართვის შეფასება

მიგნებაN1

დოკუმენტური მასალების (სხდომის ოქმებისა და მიღება-ჩაბარების აქტების) მიხედვით, 2024 წლის 27–28-29 მაისს განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებელი სკოლა-გიმნაზიის ხელბურთის გუნდის ტრანსპორტირება სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში, *მარშრუტით, წყალტუბო–სენაკი–წყალტუბო (ჯამური მანძილი 661 კმ),* ხოლო 2024 წლის 20–21-22 მაისს განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებელი სკოლა-გიმნაზიის ხელბურთის გუნდის ტრანსპორტირება სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში, მარშრუტით, წყალტუბო–სენაკი–წყალტუბო.

აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენტებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომები და ფაქტობრივად განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ზონალურ და ფინალურ ეტაპებზე მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა ნაკრები გუნდის ტრანსპორტირება, 2024 წლის 20–21-22 მაისს მარშრუტით, წყალტუბო–სენაკი–წყალტუბო და 2024 წლის 27–28-29 მაისს მარშრუტით, წყალტუბო–თბილისი–წყალტუბო.

ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად აუდიტის პროცესში აუდიტის ჯგუფმა მოიძია და შეისწავლა შემდეგი დოკუმენტები:

- საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის კორესპონდენცია (N212), რომლითაც ფედერაციამ თხოვნით მიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რათა ამ უკანასკნელს უზრუნველეყო მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის მგზავრობის ხარჯების დაფინანსება საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ზონალურ ეტაპზე მონაწილეობის მიღების მიზნით.
- საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის კორესპონდენცია(N213), რომელშიც მითითებულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2012/13/14 წლებში დაბადებულ ვაჟთა მუნიციპალური სახელბურთო გუნდი გავიდა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომლის ჩატარება დაგეგმილი იყო 2024 წლის 27–28-29 მაისს, ქალაქ თბილისში.
- სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N04-482414585), რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მერიას მიმართა თხოვნით (კორესპონდენცია N212) სასკოლო ხელბურთის განვითარების მიზნით დაგეგმილ ტურნირებში მონაწილეობისათვის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან შერჩეული სპორტსმენების ტრანსპორტირით უზრუნველყოფის შესახებ და აღნიშნული წერილის საფუძველზე სამსახურის სპორტის ღონისძიებების პროგრამიდან 2024 წლის 20–21-22 მაისს მათ გამოეყოთ სამი მიკროავტობუსი მარშრუტით წყალტუბო–სენაკი–წყალტუბო.

- სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N04-482415258), რომლშიც მითითებულია, რომ საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მერიას მიმართა თხოვნით (კორესპონდენცია N213) სასკოლო ხელბურთის განვითარების მიზნით დაგეგმილ აღმოსავლეთის ტურში მონაწილეობისათვის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან შერჩეული სპორტსმენების ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესახებ და აღნიშნული წერილის

საფუძველზე სამსახურის სპორტის ღონისძიებების პროგრამიდან 2024 წლის 27-28-29 მაისს მათ გამოეყოთ სამი მიკროავტობუსი, სვლაგეზით: წყალტუბო–თბილისი–წყალტუბო.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ფიქსირდება შეუსაბამობები ფაქტობრივად განხორციელებულ ტრანსპორტირებასა და ოფიციალურად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის, მათ შორის გადაადგილების მარშრუტის, ღონისძიების დასახელებისა და მონაწილე გუნდის იდენტიფიცირების ნაწილში. ასევე, სამსახურის მოხსენებით ბარათებში (N04-482414585 და N04-482415258) მითითებულია სამი მიკროავტობუსის გამოყოფა, რაც აუდიტის ობიექტის განმარტებით, წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, ვინაიდან რეალურად გამოყოფილი იყო ერთი მიკროავტობუსი. ასევე, დოკუმენტაციაში არ იძებნება ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც თან ახლდნენ არასრულწლოვან სპორტსმენებს ტრანსპორტირების დროს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აუდიტის ობიექტის განმარტებით, სპორტსმენებს თან ახლდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების" ხელბურთის კლუბის მწვრთნელი, თუმცა მისი ჩართულობა დოკუმენტურად არ დასტურდება.

მიგნება N2

დოკუმენტებში (სხდომის ოქმი და მიღება-ჩაბარების აქტი), რომლებიც გაფორმებულია 2024 წლის 4 ნოემბერს, მითითებულია, რომ იმავე წლის 25 ნოემბერს განხორციელდა ახალგაზრდების ტრანსპორტირება ქ. გორში. აუდიტის ობიექტის განმარტებით, დოკუმენტებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომები, ხოლო ფაქტობრივად 2024 წლის 18 ოქტომბერს განხორციელდა გულშემატკივართა ტრანსპორტირება რაგბის მატჩზე დასასწრებად. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად წარმოდგენილია მოქალაქის შესაბამისი განცხადება (№19/482429294-48). მიუხედავად აუდიტის ობიექტის განმარტებისა და მოქალაქის განცხადების არსებობისა, დოკუმენტებსა და ფაქტობრივ გარემოებებს შორის იკვეთება შემდეგი შეუსაბამობები:

- დროითი შეუსაბამობა - დოკუმენტებში ტრანსპორტირების თარიღად მითითებულია 2024 წლის 25 ნოემბერი, მაშინ როცა დოკუმენტების გაფორმების თარიღია 4 ნოემბერი, ხოლო ფაქტობრივად, აუდიტის ობიექტის განმარტებით, ტრანსპორტირება განხორციელდა 18 ოქტომბერს. აღნიშნული თარიღები ერთმანეთთან ლოგიკურად შეუთავსებელია;
- შინაარსობრივი შეუსაბამობა - დოკუმენტებში მითითებულია ახალგაზრდების ტრანსპორტირება, მაშინ როცა აუდიტის ობიექტის განმარტებით, განხორციელდა გულშემატკივართა ტრანსპორტირება. აღნიშნული განსხვავება არსებითად ცვლის ღონისძიების შინაარსს, მიზნობრიობასა და სამიზნე ჯგუფს.

მიგნება N3

შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის აგვისტოსა და ნოემბერში სამსახურმა უზრუნველყო სატრანსპორტო მომსახურება იმ გულშემატკივართა ჯგუფებისთვის, რომლებიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენებს, კერძოდ:

1. 2024 წლის 21 აგვისტოს განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურება გულშემატკივრებისთვის, რომლებიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნენ მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულ სპორტსმენს. მომსახურება განხორციელდა ერთი მიკროავტობუსით, სვლაგეზით: წყალტუბო – თბილისი – წყალტუბო. აღნიშნული ტრანსპორტირება დადასტურებულია სხდომის ოქმით (N46) და მიღება-ჩაბარების აქტით (N46).

2. 2024 წლის 5 ნოემბერს განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურება გულშემატკივრებისთვის, რომლებიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნენ ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის პრიზიორ სპორტსმენს. მომსახურება განხორციელდა ერთი მიკროავტობუსით, სვლაგეზით: წყალტუბო – თბილისი – წყალტუბო. აღნიშნული ტრანსპორტირება დადასტურებულია სხდომის ოქმით (N75) და მიღება-ჩაბარების აქტით (N75).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული სატრანსპორტო მომსახურებები განხორციელდა მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე და აეროპორტში სპორტსმენების დახვედრა გაიმართა კერძო ინიციატივითა და გულშემატკივრების ორგანიზებით, რაც ნაკლებად შეესაბამება ფართო საზოგადოებრივ ან განზოგადებულ ინტერესზე დაფუძნებული ღონისძიებების კრიტერიუმებს. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავს შესაბამის არგუმენტაციას, რომელიც დაასაბუთებდა მომსახურების

მიზნობრიობასა და აუცილებლობას. არსებული გარემოებები მიანიშნებს, რომ მსგავსი ტიპის ინიციატივების შეფასება და მათზე რეაგირება, შესაძლოა, არ ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ქმნის გარკვეულ რისკებს პროცესის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით.

მიგნება N4

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ მოქალაქეთა მიერ სატრანსპორტო მომსახურების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი სათანადოდ არ არის დოკუმენტირებული, კერძოდ, მოქალაქეთა განცხადებები გადაეცემა აუდიტის ობიექტს განსახილველად, თუმცა დოკუმენტურად არ არის დაფიქსირებული განხილვის შედეგები და არ არის მიკვლევადი შესაბამისი გადაწყვეტილების (თანხმობის / უარის) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია. ამასთან, სატრანსპორტო მომსახურებები ფაქტობრივად ხორციელდება, რაც დადასტურებულია შესაბამისი სხდომის ოქმებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით.

მიგნება N5

შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის იანვარში განხორციელდა გულშემატკივართა ტრანსპორტირება რაგბის თამაშზე დასასწრებად, მარშრუტით, წყალტუბო–თბილისი–წყალტუბო. ტრანსპორტირების ზუსტი თარიღი არ იყო მითითებული არც მოქალაქის განცხადებაში (N19/4824017122-48), არც სხდომის ოქმში (N2) და არც მიღება-ჩაბარების აქტში (N2). გარდა ამისა, მოქალაქის განცხადებაში არ იყო განსაზღვრული გულშემატკივართა სავარაუდო რაოდენობა, სხდომის ოქმისა და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ტრანსპორტირება განხორციელდა 4 მიკროავტობუსით. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ტრანსპორტირების თარიღისა და გულშემატკივართა სავარაუდო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით.

მიგნება N6

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ სამსახურმა სპორტული ღონისძიებებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრებით განახორციელა შემდეგი სატრანსპორტო მომსახურება - 2024 წლის 18 ივლისს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების" ძიუდოისტების ტრანსპორტირება ორი მიკროავტობუსით ქალაქ წყალტუბოდან ქალაქ ქობულეთში საწვრთნელ შეკრებაზე, 2024 წლის 28 ივლისს კი მათი ტრანსპორტირება ქალაქ ქობულეთიდან ქალაქ წყალტუბოში, რაც დადასტურებულია სხდომის ოქმით (N41) და მიღება-ჩაბარების აქტით (N41).

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ა(ა)იპ-ს თავად ჰქონდა შესაძლებლობა უზრუნველეყო აღნიშნული სატრანსპორტო მომსახურება. ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის, ა(ა)იპ-ის განცხადება N13-482419875-48) შესწავლის შედეგად, არ იკვეთება დამატებითი საბიუჯეტო დაფინანსების საჭიროების დასაბუთებული არგუმენტები. ასევე, არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა საჭიროების მოულოდნელად წარმოშობას ან ა(ა)იპ-ის რესურსის არასაკმარისობას აღნიშნული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია N21

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული ტრანსპორტირების მომსახურების სრულყოფილ დოკუმენტურ უზრუნველყოფას, კერძოდ:

- დოკუმენტებში ასახული ყველა მონაცემი / ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს, მათ შორის: გადაადგილების მარშრუტი, მომსახურების მიზნობრიობა, განხორციელების თარიღი და მომსახურების მიმღებ პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. ასევე, ტრანსპორტირების განხორციელების და შესაბამისი დოკუმენტების შედგენის თარიღები უნდა იყოს ლოგიკურად თანმხვედრი და შეესაბამებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს;

- ყოველი ტრანსპორტირების შემთხვევაზე აუცილებელია დოკუმენტურად დაფიქსირდეს მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა და, შესაძლებლობის ფარგლებში, თანდართული იყოს მათი იდენტიფიცირებადი სია;
- იმ შემთხვევებში, როდესაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მომსახურების მიმღებ პირთა სრული სიის შედგენა ვერ ხდება (მაგალითად: ტრანსპორტირება ხორციელდება წინასწარ დაუგეგმავად ან მოკლე დროის განმავლობაში, მონაწილეთა სია ტრანსპორტირების მომენტისთვის არ არის დაზუსტებული; ტექნიკური შეფერხებების ან სხვა მიზეზების გამო სია მიუწვდომელია ან/და მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია და სხვა), დოკუმენტურად უნდა აისახოს მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა, მომსახურების მიზნობრიობა და გაკეთდეს განმარტება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც განაპირობა სრული სიის წარმოდგენის შეუძლებლობა. აღნიშნულ შემთხვევებში სასურველია დამატებით თანდართული იყოს შესაბამისი ფოტო / ვიდეო მასალა;
- დოკუმენტაციის მომზადების პროცესში დაინერგოს შინაარსობრივი გადამოწმების მექანიზმი, რათა თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციის შეუსაბამობა და ტექნიკური ხასიათის შეცდომები. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას მათი დროული გასწორება, შესაბამისი განმარტებების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა სამართლებრივი და შინაარსობრივი გამართულობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია N22

არასრულწლოვანი პირების ტრანსპორტირებისას მიზანშეწონილია წინასწარ განისაზღვროს თანმხლები პასუხისმგებელი პირი ან პირები, რომელთაც დაეკისრებათ არასრულწლოვანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მხარდაჭერის ფუნქცია. აღნიშნული პირის / პირების ჩართულობა რეკომენდებულია დადასტურებული იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით, მივლინების ბრძანებით ან სხვა დოკუმენტით, რომელიც ასახავს მათი პასუხისმგებლობის ფარგლებს. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც არასრულწლოვანთა უსაფრთხოების დაცვას, ასევე პროცესის გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას.

რეკომენდაცია N23

იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ფინანსდება სატრანსპორტო მომსახურება, რომელიც ეფუძნება მოქალაქეთა განცხადებებს, აუდიტის ობიექტმა შეიმუშაოს და დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, მათ შორის:

- შეიმუშაოს შიდა წესი, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და მათზე რეაგირების პროცედურებს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შიდა წესი არ შემუშავდება, განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობას, პროცესის გამჭვირვალობას, საბიუჯეტო რესურსების სამართლიან განაწილებას და მოქალაქეთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვას;
- დანერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე მოთხოვნილი სატრანსპორტო მომსახურების მიზნობრიობის, აუცილებლობისა და საზოგადოებრივ ან განზოგადებულ ინტერესთან შესაბამისობის სრულფასოვან შეფასებას;
- უზრუნველყოს, რომ სატრანსპორტო მომსახურებაზე თანხმობის ან უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს სათანადოდ დასაბუთებული და ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- უზრუნველყოს განცხადებების განხილვისა და მათზე რეაგირების პროცესის სათანადო დოკუმენტირება.

რეკომენდაცია N24

აუდიტის ობიექტმა დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაციის/ მონაცემების, მათ შორის, ტრანსპორტირების თარიღის, მარშრუტის, მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობის და მიზნობრიობის წერილობით დაფიქსირებას. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის

განცხადება არ მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას/ მონაცემს, მიზანშეწონილია, მისი დაზუსტება წერილობითი ფორმით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს დოკუმენტაციის სიზუსტის, სანდოობისა და პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია N25

მიზანშეწონილია, აუდიტის ობიექტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები იმ პროცესებისთვის, რომლებიც ეხება მუნიციპალური ა(ა)იპ-ების მიერ სატრანსპორტო მომსახურების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადებების განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას, კერძოდ:

- განცხადებების განხილვისას შეფასდეს შესაბამისი ა(ა)იპ-ის ბიუჯეტი და ხარჯვითი შესაძლებლობები;
- სატრანსპორტო მომსახურება განხორციელდეს მხოლოდ სათანადო დასაბუთების საფუძველზე, რაც უნდა მოიცავდეს არსებული რესურსის არასაკმარისობის ან მოულოდნელად წარმოშობილი საჭიროების წერილობით განმარტებას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დოკუმენტურ დადასტურებას.

1.5.3 სხვა შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტური მართვის შეფასება

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ კომისიის სხდომის ოქმებსა და მიღება ჩაბარების აქტებში გარკვეულ შემთხვევებში არ არის მითითებული საქონლის ან მომსახურების მიწოდების ზუსტი თარიღი, რაც ართულებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დადგენილ ვადებში შესრულების შეფასებას, მაგალითად, N116 ხელშეკრულების პირობების (პუნქტი N6.2) თანახმად, დროშებისა და დროშის ტარების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2024 წლის 20 აპრილისა. თუმცა, შესაბამისი სხდომის ოქმი და მიღება-ჩაბარების აქტი, რომლებიც დათარიღებულია 2024 წლის 24 აპრილით, არ შეიცავს მიწოდების ზუსტ თარიღს, შესაბამისად, შეუძლებელია შეფასდეს, შესრულდა თუ არა ვალდებულება დადგენილ ვადებში. გარდა ამისა, შესაბამის დოკუმენტაციაში არ იძებნება არც ჩანაწერი და არც მსჯელობა ვალდებულების დროულად შესრულების შესახებ.

მიგნება N2

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში საქონლის / მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში მიმწოდებლის სახელი, გვარი, დასახელება ერთმანეთთან შესაბამისობაში არ არის, მაგალითად,

- N66 სხდომის ოქმში მიმწოდებლად მითითებულია ზურაბ ლომინაძე, შესაბამის ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტში - ზურაბ ლოლაძე.
- N29 სხდომის ოქმში და მიღება-ჩაბარების აქტში მიმწოდებლად მითითებულია შპს „პრინტ სერვისი", მაშინ როცა შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელი იყო - შპს „პრინტ ჯგუფი".

აუდიტის ობიექტის განმარტებით, ორივე შემთხვევაში შეუსაბამობები ტექნიკური ხასიათის შეცდომებით არის გამოწვეული. გარდა ამისა, როგორც აღნიშნულ, ისე სხვა შემთხვევებში, საქონლის / მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში (სხდომის ოქმები, მიღება-ჩაბარების აქტები) არ ფიქსირდება მიმწოდებლის იდენტიფიცირების სრული მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში - სარეგისტრაციო კოდი), რაც ხელს უშლის მიმწოდებლის ერთმნიშვნელოვნად სანდო იდენტიფიცირებას და ზრდის დოკუმენტური შეუსაბამობის რისკებს.

რეკომენდაცია N26

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების ეტაპზე დოკუმენტური სიზუსტის, სისრულისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ:

- საქონლის/მომსახურების მიწოდების ზუსტი თარიღი აისახოს როგორც კომისიის სხდომის ოქმში, ისე მიღება-ჩაბარების აქტში;
- დოკუმენტურად აისახოს შესაბამისი შეფასება და/ან მსჯელობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. აღნიშნული შეფასება და/ ან მსჯელობა უნდა ეფუძნებოდეს შინაარსობრივ ანალიზს და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ფორმალური აღწერით. ასევე, უნდა დაფიქსირდეს, შეესაბამება თუ არა მიწოდებული საქონელი ან გაწეული მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს (მოცულობა, ვადები, ხარისხი);
- შესაბამის დოკუმენტებში აისახოს მიმწოდებლის უნიკალური იდენტიფიკაციის მონაცემები (ფიზიკური პირისთვის - პირადი ნომერი; იურიდიული პირისთვის -სარეგისტრაციო კოდი), რაც ხელს შეუწყობს მიმწოდებლის ერთმნიშვნელოვნად სანდო იდენტიფიცირებას და შეამცირებს დოკუმენტური შეუსაბამობებისა და სამართლებრივი გაურკვევლობის რისკებს.

1.6 მატერიალური საჩუქრების / ნივთების გაცემის პროცესის დოკუმენტური უზრუნველყოფის შეფასება

მიგნება N1

შესწავლით დადგინდა, რომ აუდიტის ობიექტის მიერ ბიუჯეტის სახსრებით შესყიდული მატერიალური საჩუქრების / ნივთების გაცემის პროცესი არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული, მაგალითად:

- 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული №258 ხელშეკრულების საფუძველზე, შესყიდულია 300 ერთეული სასაჩუქრე ტკბილეულის პაკეტი და 20 ერთეული სასაჩუქრე ტკბილეულის კალათა, საერთო ღირებულებით 13500 ლარი. შესყიდვის ინიცირების წერილის (№04-482433914, 04/12/2024) თანახმად, ტკბილეულის პაკეტები განკუთვნილი იყო ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის აღსაზრდელებისთვის, ჩვენი სახლის „პეპელას" ბენეფიციარებისთვის და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, ხოლო ტკბილეულის კალათები - ქალაქში არსებული საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის. აუდიტის ობიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საჩუქრების მიმღებ პირთა სია მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, საჯარო და კერძო დაწესებულებების იდენტიფიცირებადი ჩამონათვალი; გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო /ვიდეო მასალა.
- 2024 წლის 16 აპრილს გაფორმებული №117 ხელშეკრულების საფუძველზე, შესყიდულია 50 ცალი ხელნაკეთი ბლოკნოტი, საერთო ღირებულებით 1500 ლარი. (სხდომის ოქმი N25, მიღება-ჩაბარების აქტი N25). შესყიდვის ინიცირების წერილსა (№04-4824101140) და სხვა დოკუმენტებში აღნიშნული შესყიდვის მიზნობრიობა განსაზღვრული არ არის. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ბლოკნოტები განკუთვნილი იყო ოფიციალური სტუმრებისთვის საჩუქრად გადასაცემად. აუდიტის ობიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საჩუქრების მიმღებ პირთა სია მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო /ვიდეო მასალა.
- 2024 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული №192 ხელშეკრულების საფუძველზე, შესყიდულია 50 ცალი აბრეშუმის შარფი, საერთო ღირებულებით 1500 ლარი, სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბო 2024" ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებისათვის (სხდომის ოქმი N53, მიღება-ჩაბარების აქტი N53). აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული შარფები გადაეცათ დღესასწაულის ოფიციალურ სტუმრებს. თუმცა აუდიტის ობიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საჩუქრების მიმღებ პირთა სია მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო /ვიდეო მასალა.
- 2024 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული №194 ხელშეკრულების საფუძველზე, შესყიდულია 24 ცალი ქსოვილის ჩანთა, საერთო ღირებულებით 600 ლარი, სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბო 2024" ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებისათვის (სხდომის ოქმი N54, მიღება-ჩაბარების აქტი N54). აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული ქსოვილის ჩანთები გადაეცათ დღესასწაულის ოფიციალურ სტუმრებს. თუმცა აუდიტის ობიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საჩუქრების მიმღებ პირთა სია მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო /ვიდეო მასალა.

რეკომენდაცია N27

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები ბიუჯეტის სახსრებით შესყიდული მატერიალური საჩუქრების / ნივთების გაცემის პროცესის დოკუმენტური უზრუნველყოფისთვის, კერძოდ:

- უნდა უზრუნველყოს მატერიალური საჩუქრის / ნივთის მიმღებ პირთა სიის შედგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს მათ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), მატერიალური საჩუქრის/ნივთის დასახელებასა და სპეციფიკაციას, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც შედგენილი არ არის მიღება-ჩაბარების აქტი) მიმღების / შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.
- იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალური საჩუქარი / ნივთი მიეკუთვნება მცირე ღირებულების საგნებს და არ წარმოადგენს ხანგრძლივი გამოყენების ან ეკონომიკური სარგებლიანობის მქონე აქტივს, გაცემის ფაქტის დადასტურება უნდა განხორციელდეს მიმღებ პირთა სიით, რომელიც უნდა შეიცავდეს: მიმღების სახელს, გვარს, პირად ნომერს; მიღებული მატერიალური საჩუქრის / ნივთის დასახელებასა და სპეციფიკაციას; მიმღების ან უფლებამოსილი პირის ხელმოწერას. იმ შემთხვევებში, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერების უზრუნველყოფა, გაცემის დადასტურება უნდა მოხდეს შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს მოაწერს პასუხისმგებელი პირი / პირები და თან დაერთოს შესაბამისი ფოტო/ვიდეო მასალა.
- იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალური საჩუქარი / ნივთი არ მიეკუთვნება მცირე ღირებულების საგნებს და იგი ითვლება პრაქტიკული გამოყენების ან ეკონომიკური სარგებლიანობის მქონე აქტივად, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალური საჩუქარი / ნივთი მიეკუთვნება მცირე ღირებულების საგნებს, მაგრამ მისი დანიშნულება გულისხმობს პრაქტიკულ გამოყენებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ან წარმოშობს მატერიალურ პასუხისმგებლობას, მიზანშეწონილია მისი გაცემა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

1.7 მივლინების პროცესის დოკუმენტური უზრუნველყოფის შეფასება

მიგნება N1

დოკუმენტური მასალების (ოლიმპიადის გრაფიკი და მონაწილეთა ტრანსპორტირების შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი) შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის 19 მარტს ქალაქ სამტრედიაში ტარდებოდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ტური კალთბურთში. მიუხედავად ამისა, თანამშრომლის მიერ მერთან წარდგენილ განცხადებაში, ასევე შესაბამის გრძანებაში, მივლინების მიზნად მითითებულია ფრენბურთის ტურზე დასწრება, რაც არ შეესაბამება ფაქტობრივად ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი არ არის მივლინების ანგარიში.

მიგნება N2

დოკუმენტური მასალების შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის 3 აპრილს აუდიტის ობიექტის თანამშრომელი მივლინებით იმყოფებოდა ვანის სასპორტო სკოლაში, სადაც ტარდებოდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის „2023–2024-ის" რეგიონალური ტური და აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული სკოლის მინი ფეხბურთის გუნდი (გოგონები). წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ უზრუნველყოფს ღონისძიების მონაწილეთა იდენტიფიცირებას, კერძოდ: დოკუმენტებში არ არის იდენტიფიცირებული მონაწილე სკოლა; ტრანსპორტირების მოთხოვნა სკოლიდან არ არსებობს, გარდა ამისა, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მონაწილეთა კვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში არ არის ასახული ინფორმაცია მომსახურების მიმღებ სკოლებზე ან მოსწავლეებზე. აგრეთვე არ არის წარმოდგენილი მივლინების ანგარიში, რაც ართულებს დოკუმენტური კვალის უზრუნველყოფასა და განხორციელებული საქმიანობის შეფასებას.

რეკომენდაცია N28

აუდიტის ობიექტმა უნდა გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს მივლინებასთან დაკავშირებული დოკუმენტების შინაარსობრივი შესაბამისობა ფაქტობრივ გარემოებებთან.

მივლინების პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში ზუსტად აისახოს: ღონისძიების დასახელება; ჩატარების თარიღი და ადგილი; ღონისძიების შინაარსი და მიზანი.

დაინერგოს შიდა გადამოწმების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დოკუმენტების შინაარსობრივი სიზუსტის და თანხვედრის კონტროლს, რათა თავიდან იქნას აცილებული შეუსაბამობები.

რეკომენდაცია N29

აუდიტის ობიექტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მივლინების შემთხვევაში შედგეს შესაბამისი ანგარიში, რომელიც ასახავს მივლინების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას, მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობას, ხარჯების მიზნობრივი გამოყენების დასაბუთებას და განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.

1.8 ადმინისტრაციული კორესპონდენციის მართვის შეფასება

მიგნება N1

ს(ს)იპ „ახალგაზრდობის სააგენტო" მერიას კორესპონდენციით (№10-48243232-48) სთხოვდა რამდენიმე კონკრეტული ქმედების განხორციელებას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საუკეთესო მოხალისის ჯილდოს მფლობელის გამოვლენას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის აღნიშნული კონკურსის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, თანამშრომლის გამოყოფას სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული კორესპონდენცია სამსახურმა მიიღო ცნობად და მასზე რეაგირება არ მომხდარა - არ არსებობს შესაბამისი გადაწყვეტილება და წერილობითი პასუხი. კონკურსის შესახებ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდება, სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობა და მუნიციპალიტეტის საუკეთესო მოხალისის ჯილდოს მფლობელის გამოვლენა არ დასტურდება არც დოკუმენტურად და არც აუდიტის ობიექტის ზეპირი განმარტებით.

მიგნება N2

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის 24-25 თებერვალს დაგეგმილი იყო სასკოლო ინტელექტუალური ჩემპიონატის „ინტელექტიადას" ჩატარება, რომელშიც მონაწილეობა შეეძლოთ საჯარო და კერძო სკოლების III-XII კლასის მოსწავლეებს. ღონისძიებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ მერიას კორესპონდენციით (№05-4824036114-48) სთხოვაჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებული პირობების განხილვა და ჩემპიონატის ჩატარების ხელშეწყობა. წერილს თან ერთვოდა მოქალაქის განცხადებაც, რომელშიც ის იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულს სთხოვდა საჯარო და კერძო სკოლების ინფორმირებას აღნიშნული ჩემპიონატის შესახებ. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და მოქალაქისთვის გაგზავნილ საპასუხო წერილში N48-482404546 აღნიშნულია, რომ ინფორმაცია მიეწოდა წყალტუბოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა ინტელექტუალურ კლუბს.

აღსანიშნავია, რომ მიღებულ კორესპონდენციაში მითითებული თხოვნა პირდაპირ ეხებოდა საჯარო და კერძო სკოლების ინფორმირებას, ხოლო ინტელექტუალური კლუბი არ წარმოადგენს სკოლის სამართლებრივად იდენტურ სუბიექტს. შესაბამისად, რეაგირება ნაწილობრივ შეესაბამებოდა მითითებულ თხოვნას და განიხილება, როგორც ნაწილობრივი შესრულება.

გარდა ამისა, აუდიტის ობიექტს არ წარმოუდგენია დოკუმენტური მასალა, რომლითაც დადასტურდებოდა ინფორმაციის ინტელექტუალური კლუბებისთვის მიწოდება, მათ შორის, ოფიციალური წერილები, ელ.ფოსტის ამონაწერები, წერილზე რეაგირების ან მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები, ინფორმირებული ინტელექტუალური კლუბების ჩამონათვალი, ინფორმირების თარიღი და ფორმა.

მიგნება N3

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ ფესტივალ „ლეგენდების ქვეყანა"-ს ჩატარებასთან დაკავშირებით მერიამ მიიღო კორესპონდენცია (№10/482410176-48), რომელშიც წარმოდგენილი იყო შემდეგი შეთავაზება: „სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ადგილობრივი ნაწარმის, სხვადასხვა ნამუშევრებისა და ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვის მოწყობა."

მიუხედავად აღნიშნული შეთავაზებისა, კორესპონდენცია სამსახურმა მიიღო ცნობად (№04-482412383) და არ განხორციელებულა რეაგირება, მათ შორის, არ მომხდარა წერილის შინაარსობრივი შეფასება, არ განხილულა მონაწილეობასთან დაკავშირებული შესაძლებლობები და დოკუმენტური ფორმით არ დაფიქსირებულა სამსახურის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მიგნება N4

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მერიამ მიიღო კორესპონდენცია (N05-482407366-48), რომელიც ეხებოდა პოეტ მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით რეგიონული მასშტაბით ღონისძიებების ნორჩ დეკლამატორთა კონკურსის („შენ სისხლო ჩემო") და კალიგრაფიის კონკურსის („ქართული ხელნაწერი") ჩატარებას. კორესპონდენციაში მითითებული იყო, რომ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პასუხი უნდა ეცნობებინათ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიისთვის. წერილს თან ერთვოდა საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის წერილი და კონკურსების დებულებები. შესწავლით დადგინდა, რომ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პასუხი მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მიეწოდა, ხოლო საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი წერილით არ ინფორმირებულა.

მიგნება N5

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მერიამ მიიღო კორესპონდენცია (N05-482414248-48), რომელიც ეხებოდა კვარტეტ „რანინას" კონცერტების ჩატარების მხარდაჭერას კომპეტენციის ფარგლებში. კორესპონდენციაში მითითებული იყო, რომ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პასუხი უნდა ეცნობებინათ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და განმცხადებლისთვის. წერილს თან ერთვოდა კვარტეტ „რანინა"-ს სამხატვრო ხელმძღვანელის წერილი. შესწავლით დადგინდა, რომ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პასუხი მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მიეწოდა, ხოლო განმცხადებელი შესაბამისი წერილით არ ინფორმირებულა.

მიგნება N6

დოკუმენტური მასალის შესწავლით დადგინდა, რომ 2024 წლის 8 აპრილს მერიამ მიიღო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების" კორესპონდენცია (N13-4824099165-48), რომელიც ეხებოდა რაგბის გუნდისთვის ვარჯიშის საშუალების მიცემას საფეხბურთო ცენტრის მოედანზე 2024 წლის 10 და 11 აპრილს, აღნიშნული კორესპონდენცია სამსახურმა 2024 წლის 9 აპრილს N48-48241002 წერილით გადაუგზავნა ა(ა)იპ „წყალტუბო არენას" შესაბამისი რეაგირების მიზნით. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სამსახურს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის" წერილობით არ უცნობებია წერილის გადაგზავნის / მიღებული რეაგირების შესახებ. ა(ა)იპ „წყალტუბო არენას" მხრიდან არ არის წარმოდგენილი ოფიციალური წერილობითი პასუხი. აუდიტის ობიექტის განმარტებით, კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხზე განხორციელდა სატელეფონო ზარებით, რაც ვერ უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის პროცესის სათანადო დოკუმენტირებას.

რეკომენდაცია N30

აუდიტის ობიექტმა ადმინისტრაციული კორესპონდენციის მართვის პროცესში გააძლიეროს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს მიღებულ კორესპონდენციაზე სათანადო რეაგირება, მათ შორის, სათანადო შინაარსობრივი შეფასება, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და ქმედებების განხორციელება. ამასთანავე, უზრუნველყოს კორესპონდენციის განხილვის, მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების სრულყოფილი დოკუმენტირება. იმ შემთხვევაში, თუ კორესპონდენცია შეიცავს წერილობით შეთავაზებას, აღნიშნული შეთავაზების მიღება ან უარყოფა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის არგუმენტაციას და პროცესი სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული (მაგალითად: სამსახურის პოზიციის ამსახველი წერილი, გადაწყვეტილების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან პასუხისმგებელი პირის ანგარიში). იმ შემთხვევაში, თუ მიღებული კორესპონდენციით გამსაზღვრულია კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფის ან ადრესატის ინფორმირება, უზრუნველყოს მათი სათანადო ინფორმირება, ინფორმირების პროცესის თითოეულ ეტაპზე უნდა შექმნას და დაარქივოს შესაბამისი დოკუმენტაცია, მაგალითად: გაგზავნილი ოფიციალური წერილების ასლები (ბეჭდურ ან ელექტრონულ ფორმატში), ელ. ფოსტით განხორციელებული კომუნიკაციის ამონაწერი, ადრესატის მხრიდან ინფორმაციის მიღების ან მასზე რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტები, ინფორმირებული ფიზიკური/იურიდიული პირების ჩამონათვალი ინფორმირების ფორმისა და თარიღის მითითებით, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი ანგარიში განხორციელებული ინფორმირების თაობაზე, რომელშიც დეტალურად იქნება, ასახული რომელ სუბიექტს, როდის და რა ფორმით მიეწოდა ინფორმაცია და სხვა.

რეკომენდაცია N31

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს წერილობით კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირების წერილობითი ფორმით განხორციელება. სამსახურსა და მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებსა და სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის ოფიციალური კომუნიკაცია უნდა ხდებოდეს წერილობითი მიმოწერის ფორმით (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული არხებით), რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვას. არაოფიციალური კომუნიკაცია (სატელეფონო ზარები, ზეპირი შეთანხმებები) გამოიყენოს დამხმარე ინსტრუმენტად, იგი არ უნდა ჩაენაცვლოს ოფიციალურ წერილობით რეაგირებას და არ უნდა განიხილებოდეს ოფიციალური პასუხის ან რეაგირების ალტერნატივად.

1.9 ანგარიშგების შეფასება

მიგნება N1

სამსახურის საქმიანობის შესახებ წარდგენილი ანგარიშების შესწავლით დადგინდა, რომ ანგარიშები ზოგადი ხასიათისაა და ძირითადად მხოლოდ ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალს მოიცავს. მათში არ არის წარმოდგენილი მიღწეული შედეგების ანალიზი, ღონისძიებების მიზნებთან შესაბამისობისა და გავლენის შეფასება. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად ამცირებს ანგარიშების გამოყენების შედეგიანობას დაგეგმვის, მონიტორინგისა და მართვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

რეკომენდაცია N32

ანგარიშების შინაარსობრივი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია, რომ მათში აისახოს შემდეგი საკვანძო კომპონენტები:

- განხორციელებული ღონისძიებების მიზნობრივი შესაბამისობის შეფასება (რამდენად შეესაბამება განხორციელებული ღონისძიება სამსახურის სტრატეგიულ და/ან ოპერატიულ მიზნებს და რა როლს ასრულებს მიზნების მიღწევის პროცესში).

- მიღწეული შედეგების რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი ანალიზი (რამდენად და რა ხარისხით იქნ
მიღწეული დაგეგმილი შედეგები) და ამ შედეგების შესაბამისობა დასახულ მიზნებთან;
- განხორციელებული ღონისძიებებისა და სამსახურის საქმიანობის შედეგების გავლენის შეფასება (მათ შორის,
თუ როგორ აისახა მიღწეული შედეგები სამსახურის ფუნქციონირებაზე და მიზნობრივ ჯგუფებზე);
- საქმიანობის გაუმჯობესების საჭიროებების ანალიზი და შემდგომი განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა
(ამ მიზნით უნდა შეფასდეს კონკრეტული ხარვეზები ან სუსტი მხარეები, რომლებიც გამოვლინდა საქმიანობის
განხორციელების პროცესში, იდენტიფიცირდეს ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას,
ასევე, შეფასდეს წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყო შედეგების მიღწევას).

2. ნაწილი - დასკვნა

შიდა აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების მიზანი იყო შეეფასებინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

ჩატარებული ინტერვიუების, დოკუმენტების შესწავლის, გამოყენებული სხვა ტექნიკებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და ურთიერთშედარების შედეგად ნათელია, რომ თანამდებობრივი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების, ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების, ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ადმინისტრირების, წარმატებული სპორტსმენების ფულადი წახალისების, სპორტული შეჯიბრებების დოკუმენტური უზრუნველყოფის, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების ეტაპის დოკუმენტური მართვის, ადმინისტრაციული კორესპონდენციის მართვისა და ანგარიშგების პროცესში გვხვდება რიგი შეუსაბამობების ფაქტები.

საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი შიდა კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას და შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების - კონტროლის ღონისძიებები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, მონიტორინგი და შეფასება - გაძლიერებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: /მ. თედორაძე/